

გაზეთის ფასი

ბაზანით ტფილისში	მათაგან:	6 მან,
და გარე ადგილებში:		
პრების წლისა — 7 მან.	— — —	3 — 50 კ.
ნაგვარის წლისა — 4 —	— — —	2 —
საბის თვისა — 2 — 50 კ.	— — —	2 —
კალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შური.		

ქრონოსი

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში „დროშის“ რედაქციის კანტორაში, მელიქი-შვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბებულოვის სახლში.
 ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Въ Тифлисѣ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.**
 რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი **ბანსხადება** სხვა და სხვა ენებზე. მასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-ბრივის ასობით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საკონსტიტუციო და სალიტერატურო გაზეთი.

გ ა ზ ე თ ი ს ე ლ ე მ ბ ა .

დიდი გაჭირება ადგას ხოლმე ყოველ წელს „დროშის“ რედაქციას იმის გამო, რომ ხელის მომწერნი იბარებენ გაზეთსა და ფული კი თავის დროზე არ შემოაქვთ. **ბეჭდვის პერიოდი** იმისთანა ხელის მომწერნი, რომელნიც იბარებენ და ფულს **არ იძლევიან**. ამისთვის მომავალის წლიდან ვინც წინათვე არ გამოგზავნის ფულს, გაზეთი არ გაეგზავნება. და რომელთაც აქამომდე არ შემოუტანიათ გაზეთის „დროშის“ ფული, თუ მომავალ წლამდის არ შემოიტანეს, იმათ სახელსა და გვარს გამოვაცხადებთ გაზეთში სამჯერ. მისაც „დროშის“ დაბარება ჰსურს, უმორჩილესად ესთხოვთ, ამ თავითვე წარმოადგინოს წლის ფული.

შინაარსი:

ტფილისის უეზდის მარშლისაგან. — ტფილისი, 1 ნოემბერს. — პოლიტიკა. — მადრიდი. — ტელეგრაფები. — საქორა ჩვენთვის ურთიერთის შემწეობა, თუ არა. ლექსი: ფრთხილათ. პოლიტიკური და საზოგადო ცხოვრება სერბისა.

ბანსხადება

თ ფ ი ლ ი ს ი ს დ უ ბ ე რ ნ ი ს კ ე თ ი ლ .
 შობილთ წინამძღომლის თანამედროვეობის აღმასრულებელისა.
 ნებართვითა მისის იმპერატორებისა უმაღლესობისა ძაგასის ნამეტნიკისათა ქ. სილნახსაშინა ზუნდა მოხდეს 25 მომავალსა ნოემბერსა კეთილ შობილთ აღრჩევა სილნახის უეზდის კეთილშობილთ წინამძღომლის თანამედროვეობასა ზუნდა.
 ამისთვის განუცხადებ რა სილნახის უეზდის კეთილ შობილთა, უმორჩილესად ვთხოვ ყოველთა გაქმნდეთ მხედველობასა შინა შემდგომნი მუხლნი ჰსჯულთა მესამე ტომისა. აღრჩევის სამსახურსა ზუნდა: 34, 35, 36, 37, 52, 54, 74, 75, 77, 78, 80, 81, 82, 83, 84, 85, 94, 95, 96, 101, 102, 103, 105,

და 138. და XV ტომისა სჯულთა სისხლის სამართლისათა: 1959, 1961, 1966 და 1867. —

ტფილისი, 1 ნოემბერს.

ამას წინათ გაზეთში „ძაგასში“ იყო გამოცხადებული ორი საყმაწვილო ბაღების განსახე ტფილისში: ერთისა — სოლოლაკზე ლილია ლაგერკოსაგან და მეორისა. — ქუჩაში მდებარე ჯაბადარისაგან. „დროშის“ N 20-ში ჩვენ ვრცლად მოვილაპარაკეთ, თუ რა განზრახვით მიუღიათ განათლებულ ქვეყნებში საყმაწვილო ბაღები ჩხვილ ახალგაზღვრების აღსაზრდელათ, ან რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამისთანა ბაღს ყმაწვილის ზნეობით და გონებით განსწავლვისათვის. სასიამოვნო გასაგონია, რომ 1-ის ნოემბრიდან ტფილისში იქმნება ორი საყმაწვილო ბაღი და გაზეთი „ძაგასში“ ამბობს, მსურველნი ისე ბევრნი აღმოჩნდნენ, რომელთაც ჰსდამოუბრათ თავიანთი ყმაწვილების ტარება ამ ბაღებში, რომ დასაწინებელია, რატომ ასე მცირე რიცხი ყმაწვილებისა დაუდევთ მისაღებათა. თითო ბაღში ოცდაათ ყმაწვილის

მეტს არ იღებენ და თითო ყმაწვილზე თვეში ოთხი მანეთია დადებული გადასახდელათ. (ოთხის თვისა წინათვე უნდა შეიტანონ ყმაწვილების მშობლებმა. უნდა ვთქვათ, რომ საყმაწვილო ბაღების გამხსნელთა კარგათ უყურებიათ, რომ პირველ შემთხვევაში ასე ცოტა ყმაწვილებს იღებენ, რადგან სჯობიან კაცთა ყოველი საქმე მცირედით დაიწყოს. შემდეგ, რაკი კარგათ წაიყვანებენ საქმეს, საზოგადოების თანაგრძობით უფრო გაძლიერდება და საყმაწვილო ბაღებსაც დიდი წარმატება მიეცემა.

კონსტიტუცია.

მადრიდი. მანჩინება პირველ დაწყებულს და ნამდვილს შკოლებზე. მადრიდის გაზეთში 15 ოქტომბერს გამოცხადებულია ძალიან მძიმე განჩინება, პირველ დაწყებულთა სწავლაზე, რომელიც სრულდებოდა განათლების ყოველგვარ შევიწროებისაგან. იმავე ჟამს აღადგინეს ნორმალური შკოლები. 1) ამ წლის ორს ივნისს რომ

სჯული გამოიცა სახალხო განათლებაზე, ის გაუქმდება. აგრეთვე ამ სჯულის ასრულებისათვის გამოცემული დაწესებულება მოიშლება. 2) უნდა იმოქმედონ იმ კანონ-დებათა, რომელნიც ზემოთ მოხსენებულს კანონის გამოცემამდის იყო, მაგრამ იმდენათ, რომ ამ განჩინების აზრებს არ ეწინააღმდეგოს. 3) პირველ დაწყებითი სწავლება თავისუფლათ უნდა იყოს. შოველს ისპანიელს ნება აქვს შკოლის განსწავლვისათვის და ამისთვის ნებართვის შოვნა არ არის საჭირო. 4) მასწავლებელთა შეუძლიანთ იმ წესით ასწავლონ, როგორსაც საუკეთესოთ შერაცხვენ. 5) რაც უწინ სასულიერო კრებებს მომეტებული სიძარტლე ჰქონდათ სწავლების შესახებ, ყველა მოიშლება. 6) მთავრობისაგან მიეცემა შეწყობა იმ შკოლებს, რომელნიცა იქმნებიან პირველ დაწყებითი სწავლის გამრცელებელნი ხალხში. 7) რომელნიც მასწავლებლებათ იქმნებიან დანიშნულნი, იმათ ეს პირობები უნდა ასრულდნენ. მასწავლებლები მოქალაქეთა კრებამ უნდა დანიშნოს. 8) მუნიციპალიტეტს მიენდობათ, რომ მასწავლებლებს ჯამაგირი აძლიონ და იძიონ ღონისძიება სახალხო შკოლების

კონსტიტუციური და საზოგადო ცხოვრება სერბისა.

სუმბა საქონლისა, რომელიც გააქვთ სამხედრო გარეთა და იქიდან შემოაქვთ, არის წელიწადში სამოც მილიონად. მასატანი საგნებისაგან არიან მხოლოდ ღორი, რქიანი საქონელი და პური. ხელოსნობა სრულდებით არ არის გავრცელებული, ასევე თუ მცა სერბიაში წყლები უხვათ არის, მაგრამ საფქვავი სამხედრო გარეთ გააქვთ წისქვილებში; გარდა ამისა თუ მცა აქ ბევრი ტყეები არის და სახერხი ზაოდებიცა, მაგრამ მაინც ხე-ტყე პესტრიდგან მოაქვთ. პესტრიდგან აგრეთვე სხვა ზაოდის ნივთები და ხორავიც მოდის სერბიაში. სერბის ხელოსნობისა და ვაჭრობის შუაგული არის მენაში და ამიტომ სერბები არ უნდა ემდურებოდნენ პესტრიდის განვლენასა მათზედ, ვიდრე იქიდან მოაქვთ ფიცრები, ფქვილი, ქონი, ერბო, ძმარი, ცელები, დანები და ლურსმებიცა.

გადასწვიტეს უმეტესი ხარჯი, ასე რომ ქალაქ ადგილში 80 ფრანკზე მეტი, სოფელში 40 ფრ. და ბელგრადში 160 ფრანკისა არავის არ უნდა შამოეტანა.

საერთოდ რომ ვინაგარიშოთ სერბიაში სულზე მოდის 16 ფრანკი (ხუთშაურიანს უდრის). საბერძნეთში ორი ამოდენი მოდის და შრანტიაში 80 ფრ. ეს ამიტომ რომ შრანტიაში ცივილიზაცია (კეთილმდგომარეობა) ძალიან ძვირათა ჯდება, რადგანაც იმისი ნაყოფი ისუიდება, როგორც ნაპოლეონ III-ს ჰსურს.

თორმეტის მილიონადგან, რომელიც აღის სერბის ხარჯათა, 540,000 ფრანკი ინიშნება საზოგადო შენობებისთვის. ეს ძალიან ცოტა არის იმ მხარისთვის, სადაც ჯერ რიგანი გზებიც არ არის და ეს ყოველი უნდა გაკეთდეს სულ ხელახლად.

სასახლის სახარჯოდ არის მიცემული თითქმის იმდენი, რამოდენსაც ხარჯვენ საზოგადო შენობებისთვის, 500000 ფრანკსა. ეს ძალიან მეტია ასე პატარა სახემწიფოსთვის. მბრენოვიჩები ძალიან მდიდრები არიან; მიხვილის ქონება სერბიაში და რუმინიაში დაფასდა ორმოცდაათს მილიონად; მამასადამე შეიძლება კარგა შეემოკლებინათ სახლის ხარჯი.

შემდეგ მსმალეთს აძლევენ წელიწადში ხარჯად 500000 ფრ. მარდა ამისა პოლიტიკურ აგენტებზე და მბლომატებზედ ხარჯვენ აგრეთვე 500000 ფრანკსა, რომლებიც შეიძლება კარგა შეემოკლებინათ. ჯარის შენახვა ინდომებს სამ მილიონ-

სა. შრანციის არმია ამოდენსა ხარჯავს ორდღეში. რადგანაც დაჩვეულნი ვართ შერობის ჯარების დიდრონ ხარჯვასა, ჩვენ ეს სერბის ხარჯი მცირედ მიგვაჩნია; მაგრამ ეს შეადგენს მეოთხედს, მთელს მეოთხედს, სახელმწიფოს შემოსავლისა სერბიაში. ამითი ინახება ძაბრუსი, რომელიც შესდგება 3,400 სწლდათისაგან. მაგრამ ამრიცხვის გასინჯვით ჩვენ ვერ შევარდგენთ სრულს აზრს სერბის ჯაროსნობისასა და ღონისასა. ეს ორმოცდაათი ათასი კაცი დაიარაღებულია მზრუნველი მმართველობისაგან და, თუ საქორა იქნება, მეექვსედი მცხოვრებთა დადგება ბაირად ქვეშ, რომლთაც შესდგება 200 ათასი კაცი. პირველს მხედრობის ძალას სერბისას შეარდგენს სახალხო მილიცია, როგორც შევიცარის რესპუბლიკაში. შოველი მოქალაქე დაიარაღებულია, შოველი მოქალაქე მამარია. ყოველი მოქალაქე ზრუნავს თავისი სამშობლო ქვეყნის უშიშროებისათვის და თავისუფლობისათვის. შოველი სერბი — ოცი წლიდან ორმოცდაათ წლამდე — ჩაწერილი არის მილიციაში, გარდა რასაკვირველია სამხედრო ლოსა და უძღურებისა. პირველის ჯერით მოდის სამსახურში მეოთხედი ნაწილი ყველა მოქალაქისა, რომელნიც არიან შეტანილნი მილიციის სიებში.

აქვთ თავადის ჩამომავლობასა, რომელთაც აქვთ უფლება მეფობისა; მხოლოდ მართვა ხალხისა არის პასუხის მგებელი მინისტრების შუამავლობითა.

შფლება მეფისა არის შემომიჯნული სკუპტინის უფლებითა; სკუპტინა შესდგება მხარის წარმომადგენთაგან და სენატისაგან, რომელსა აქვს მნიშვნელობა მმართველობის რჩევისა. სენატში წევრები არიან ჩვიდმეტნი, რომელთაც მეფე არჩევს მაღალი ხალხიდან და, თუ უნდა, გადააყენებს სამსახურიდან პენციითა.

სკუპტინისათვის არჩევენ ერთს დეპუტატს 2,000 ხარჯის მიღვევლზედ. უწინ ამასა ჰქონდა მინდობილი განხილვა კანონებისა და ამისი პირველად წარმოთქმა. საქორა იყო სკუპტინის დამტკიცება ყოველს დიდი მნიშვნელობიანს საზოგადო საქმეში. ამასთანავე არც მაგრე ძალიან აწუხებდა მეფესა, ამიტომ სკუპტინის ყრილობა ყოველთვის მოხდებოდა ხოლმე სამ წელიწადში ერთხელ და ამიტომ, უნდოდათ თუ არა, უთუოთ უნდა დამტკიცებინათ ისა, რასაც გაეელო.

მაგრამ უკანასკნელმა შემთხვევამ სერბის დაწყობილება ძირიანათ შესცვალა. რომ მოგროვდა სკუპტინა უკანასკნელი მეფის აღმოსარჩევლად, პატარა მილანი ყველას ამჯობინა და მაშინვე დაწესა, რომ დღეის იქით სკუპტინა უნდა მოგროვდეს ყოველ წელიწადსა. ამ გადაწყვეტილების აზრი ეს არის: „დღეის იქით მხარე უნდა იმართოდეს თითონ.“ თითქო სკუპტინას ჰსურდა, რომ უფრო სიკხადე მისცეს ამ ცვლილებას, ამი-

სარჩენათ. 9). ამ წლის 2 ივლისს გამოცემულის განჩინებით დახურული ნორმალური შკოლები ისევ გაიხსნება. 10). ნორმალურ შკოლებში რომ მასწავლებლები იყვნენ და, რაკი ისინი დახურულს უსამსახუროთ დარჩნენ, იმათ ხელახლა მოუწოდებენ გუბერნატორები შკოლებში მასწავლებლებათ, თუ წარმოადგენენ დამამტკიცებელს საბუთებს, რომ ისინი თანაუგრძნობენ ახლანდელს მთავრობას.

11). სამაზრო და სათემო შკოლის რჩევანი უნდა დაწესდეს. 12). სამაზრო შკოლის რჩევა უნდა იყოს შედგენილი ცხრა წევრისაგან და თხუთმეტი წევრისაგან იმ ქალაქებში, რომელთაც ასი ათასი მცხოვრები მიიწესა ჰყავთ. რომელ ქალაქებშიც, ორი ათას მცხოვრებლების მეტი არარაინ, იქ რჩევის წევრად ხუთი კაცი იქნება. 13). სამაზრო შკოლის წევრებს დანიშნენ სამაზრო დებუტატთ ყრილობანი და სათემო რჩევის წევრებს მუნიციპალიტეტი. 14). თავს მჯდომარესა და სეკრეტარს თვითონ რჩევა ამარჩევს. 15). თვითონ მთავრობა წარუდგენს კორტესებს კანონის პროექტს პირველ დაწვებითს განათლებასზე.

მთხმომც და ცხრამეტ გუბერნატორში, რომელნიცა დროებითს მმართველობას დაუნიშნავს, ჩვიდმეტი დემოკრატიის პარტიის წევრია. პოეტი მიეტარებოდა მალაგაში დანიშნეს გუბერნატორათ. მადრიდის ბურგომისტრმა (ქალაქისთავმა) მმართველ რივეროლმა გაუგზავნა თავის მგებარს რივეროლ მარტინის და გრენადის იუნტის წევრებს, ტელეგრაფმა, რომელშიაც არიგებს იმათ ზომიერათ და სიფრთხილით იმოქმედონ, რადგან დემოკრატიულს პარტიას სამყოფი წამომადგენელი ჰყავს დროებითს მმართველობაში.

ტელეგრაფები.

(ტელისში მიღებული.)

პეტერბურგი, 26. ოქტომბერი. ბენერალი ბრანტი აღიზინეს შეერთებულ შტატების პრეზიდენტათ. — პრუსიის კაროლმა ტრონით სიტყვაში გამოაცხადა, რომ მეტროპოლიში მშვიდობიანობის სურვილი არისო.

ტომ მოუმატა: „სერბიაში უნდა შევიტანოთ კონსტიტუციის რიგია“. აქედანა სჩანს, რომ თუმცა ლაპარაკობდნენ, მაგრამ კონსტიტუციის რიგი იქ აქამდინ არა ყოფილა.

რადგანაც სერბიაში არ არის განყოფილება საზოგადოების რამდენიმე წოდებად, ამიტომ აქ არც ერთმანეთის მძულარეობა და განყოფილება არის, როგორც ბერმანიაში, შრანციაში და ანგლიაში. შოველ კვირობით კმეტი მიდის და ჯდება სოფლის დიდი ხის ძირში; (ამას აქვს მნიშვნელობა მოქალაქების დებუტატისა და მიროვი სულისა. ძმეტი ჯდება სკუპის (სამოქალაქო კრების) შუაზე, რომლის გარეშემო იმართებიან მამასახლისებო, ამათ შემდეგ ოჯახის თავნი და მერე ახალგაზდები, რომლებიც ყრილობის ყურის გდებს რჩეულობენ, ვიდრე იმას, რომ ცოტა მოშორებით ითამაშონ სოფლის გოგობთანა. ჩემნო ძმანო, ამბობს კმეტი. მეფემ გვიბძანა ჩვენ რომ ვითხოვთ თქვენ ესა და ესა: გსურთ თქვენ ესა, თუ არა? „ჰო, ანუ არა, ჩვენ, გსურს რომ იყოს ასე, ანუ ისე...“ ისმის კრებიდგან. ამ გვარადვე არის ხოლმე დებუტატების ამორჩევა სკუპტშიაში. ბი ოქროს საუკუნე პოლიტიკურის ცხოვრებას: უფლება და ხალხი ჯერ ისევ ერთმანეთში არიან არეულნი.

IV. გვიანდელი თემი.

მთი სლავანის ტომთაგანი, რომელიც სცხოვრებდა მდობის ნაპირებზე და ჩრდილოეთის ზღვის პირებში, საბერძნეთის იმპერატორმა პრეკლემ მოიწვია ამ აზრით, რომ

— სახელმწიფო ბანკმა გამოაცხადა, რომ ხუთ თემიან ქალაქის ფულებს ჰპოიან დაუბრკოლებლათო. „ბირჟის უწყებანი“ გვარწმუნებენ, რომ რუსის ცეცხლის ვემთ საზოგადოება—რომელიც საზღვარს გარეთ არის, ატრიალებს შეიდას მილიონ მანეთსაო.

საქორთა ჩეენთვის ურთიერთის შემწეობა თუ არა?

მრავალი კაცი იბოვება ჩეენს ბენდიერს საქართველოში, რომელიც დარწმუნებით ხშირათ ამბობს, რომ სხვის შემწეობა ჩემთის საქორთო არ არისო, თუ კი მეც მექნება ისა—შუალევა, რომლითაც შეიძინება განათლება, რომლის შემწეობითაც მოიპოვებს კაცი სიმდიდრესაც და დამოკიდებულებასაც.—მაგრამ მე ვკითხავ იმ პატივცემულ პირებს, რა საშუალებით შეიძლება განათლების და სხვა საქორთების დაკმაყოფილება, თუ არც სიმდიდრის მოპოვებით? ამხვედ იქნება ბევრმა მიპასუხოს, რომ თუ კაცი განათლებული და ნაწიწელი არ არისო, არც სიმდიდრის მოპოვება შეიძლება, მაგრამ მე დავამტკიცებ, რომ არის ბევრი საშუალება, რომლითაც ჩვენ შეგვიძლიან მოვიპოვოთ ერთიც და მეორეც: ესე იგი განათლება, სწავლა და მატერიალური სიმდიდრეც.—თუმცა არა ვართ არც ძალიან განათლებულნი, და არც ძალიან მდიდარნი.—

შოველი კაცი, როგორც სხვა პირუტყვი, მაგალითად ფრინველი, მოითხოვს თავის ცხოვრების გასამაგრებლათ სასმელს, საჭმელს და სხვ.; მაგრამ ყველაზედ მომატებული საქორთება კაცისთვის არის საზოგადოება.—თითონ ბუნებაში ყოველი კანონი იმ რიგათ არის დაწყობილი, რომ ყველა ცხოველს ბუნება აძლევს სასმელსაც და საჭმელსაც მუქათ, მაშინ როდესაც კაცისათვის კი საქორთა ცნობილი შრომა.—პაცი იბადება იმავე კანონების ძალით, რომლის ძალითაც მრავლდება სხვა პირუტყვი, მაგრამ განსხვავება იმათ შუა იმაში მდგომარეობს, რომ პირუტყვისათვის არ არის საქორთო იმდენი ზრუნველობა, როგორც კაცისთვის.—პირუტყვი, დაწყებს თუ არა სიარულს, მაშინვე თავისის ინსტიქტით

დაასახლოს საბერძნეთის ჩრდილოით, რომელიც აკლებული იყო ავარებისაგანა.

შველზე უფრო შესანიშნავი მეფე სერბიისა იყო ლუშანი (1333—1356). ამ მომარმა კაროლმა იომა გამარჯვებით მესალიაზედ, მაკედანიაზე, შრანციაზე, ალბანიაზე და აკარანიაზედ. ბოსნია მიეთვალა იმის მპყრობელობასა, ბოლგარია აძლევდა ხარჯსა. რაგუზამ მიიღო იმისი მფარველობა. იმის სახელმწიფოს სამძღვრები იყო არხიპელაგი, შავი ზღვა, ლუნაი და სავა და ადრიატის ზღვა. აქლდა მხოლოდ ისა, რომ დაემარცხებინა კონსტანტინე პოლი, რომლის ჯარიც დაუმარცხებელიც არ გადურჩა. ლუშანი მიიღოდა კონსტანტინეპოლზე, მაგრამ როგორც მივიდა თორმეტ მილზე, ამდროს კიდევ გააცხელა საშინლად და გარდაიცვალა რამდენიმე დღის შემდეგ. იმისი ჯარი დაბრუნდა დაღონებული და წამოიღო თან თავისი ვაჟკაცი. ჯერ ლუშანს თვალები არ დაეხუჭნა, რომ იმისმა წინამძღოლებმა შეხედეს ერთმანერთს და შესძახეს: მინ უნდა გახდეს ძროხალადა?

ლუშანის დროს წარმოვიდგინენ, როგორც საუკეთესო დროების სერბიის ისტორიისას, მაგრამ ჩვენ არა ვართ თანამგრძნობელი მამარი, დამომანავებელი, და მებატონე სერბიისა. ჩვენა გვგონია, რომ სერბია თვითონვე დაეცემოდა ცუდის შინაურის დაწესებებისაგანა, რომელიც მოხდა ლუშანის დროს: ეს ლუშანისგან დადგენილი მებატონეები შესჭამდნენ ერთმანეთს უკანასკნელს სახელმწიფოს დაცემამდე, ეს კეთილშობილნი გასტყუებულ-

ნენ გლვებებს და გაასწორებდნენ მიწასთან. ლაპარაკობდნენ ლუშანის მემკვიდრეების სისუსტესა და უხერხობასა; მაგრამ დანაშაული კი უფრო მებატონე ბარონებისა არის. მცდა ათი წლის შემდეგ იმისა, როდესაც დამმარცხებელი სერბიის ჯარი იდგა ძონსტანტინეპოლის სიახლოვესა, ოცდა ათის წლის შემდეგ სერბიელებს დაეცნენ თავიანთ საკუთარს სამშობლოში და დამარცხეს ძონსტანტინეპოლის მოყვარენი) აქამდის იგონებენ ყოველს წლივ შეხვებთა. ხუთი საუკუნის მონაობა იყო ნაყოფი ძონსტანტინეპოლისა. ამ უბედურების წარმოდგენაზე ჩვენ უნდა მოვიფიქროთ სიფაჟკაცე და გონების სიმახვილე მურადა I, რომელიც იყო დამმარცხებელი ოცდა ცხრამეტს ომში. მაგრამ არც ის უნდა გაუშვათ აზრიდგან, რომ სერბია მაშინ იყო დაღლილი მაღალი წოდების შეწუხებითაგან, იმათი დაუმორჩილებებისაგან, რომლებიც ემორჩილებოდნენ კაროლსა და ფიქრობდნენ უფრო თავიანთი ქონებისთვისა, ვიდრე ოსმალელებთან ომსა.

ჩეენის აზრით ლუშანის მამრობამ და გამარჯვებამ პოლიტიკური სიმკვიდრე კი არ შეადგინა, იმან მოამზადა მხოლოდ ძონსტანტინეპოლის დამარცხება, რომლის გამო სერბები გახდნენ მდუმარენი თავიანთ გულში, და ეს გახდა წყაროდ პოეზიისა—გმირული სიმღერებისა და მოკლე ქების ლექსებისა მილოვანზე და მარკზე. +


ზარდა ამისა ესენი გულმოდგინებით შეუდგნენ მოსპობას იმ გვარის დაწესებებისა,

ხათ: პირველს ხარისხს შეადგენენ მუშა-რჩილებანი; მეორე ხარისხს შეადგენენ მუშა-ქიანჭველები, რომლების მოვალეობაც იმაში მდგომარეობს, რომ უნდა თავისის შრომით შეიძინონ საზამთროთ საზრდო; მესამე ხარისხს—დამცველნი ქიანჭველები, რომლების მოვალეობაც არის დაცვა, როგორც იმათის სადგომისა, აგრეთვე დანარჩენის ქიანჭველებისა.—მართის სიტყვით ჩვენ, თუ თვალთ ვადევნებთ, ვნახებთ, რომ ერთი და იგივე ქიანჭველა არ არის იმავე დროს მუშაც და დამცველიც.—ამ გვართ რამდენიც მივხლოვდებით კაცის ცხოვრებამდინ, იმდენათ უფრო ცხადათ დავინახებთ შრომის დაყოფილებას და დავრწმუნდებით, რომ ერთი განყოფილება არა თუ ყოველთვის საქორთა, არამედ ეს კანონი ძვეს თვით ჩვენს ბუნებაში.—ამისთვის საკმაოა გადავთვარელოთ რამდენიმე ფურცელი კაცობრიობის მოძრაობის ისტორიისა და დავინახებთ, რომ რამდენათაც შორს მიიწევს კაცი, იმდენათ უფრო და უფრო დიდი შრომა უნდება.—

შრომის დაყოფილებას აქვს ის კარგი მხარე, რომ კაცი უფრო საფუძვლიანათ სწავლობს იმ ხელობას, რომელსაც ყოველთვის ზედ დასტყერის და თვითონვე მუშაობს,—ამას მე ვგონებ ყველა მკითხველი მიხვდება და აღარ მოითხოვს ჩემგან დამტკიცებას.—მე მხოლოდ განვიხილავ, როგორი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს შრომის დაყოფილებას.—პეილოთ, მაგალითად, ის ფაბრიკები, სადაც კეთდება ნემსები.—ამ მაგალითით ჩვენ ვნახებთ სადამდის არის მისული შრომის დაყოფილება.—მს მაგალითი პირველათ წარმოადგინა ანგლიის პოლიტიკო ეკონომმა ადამამ სმიტმა თავის თხზულებაში: „მიზეზიხალხის სიმდიდრისა“ და დაუგდოთ ყური; რას ამბობს თვითონ ავტორი ამ თხზულებისა.—მინძისთავების კეთება იყოფა 18-ს სულ სხვა და სხვა ოპერაციათ.—მთი კაცი სწევს მართულს, მეორე ასწორებს, მესამე სჭრის, მეოთხე წვერს უწყვეტებს, მეხუთე აპრტყელებს კურწის გასაკეთებლათ; კურწის ვაკეთებისთვისაც უნდა ორი ან სამი სხვა და სხვა ნაირი ხელობა; ქინძისთ-

რომელნიც აქამდინ აწუხებდათ და აშფოთებდათ: მოჰყენენ მოსპობას წვრილი მტარვლებისას, რომელნიც სწოდენენ სისხლს გლენებისასა.—ცხოვრების წვენს მხარისასა. საერთო უბედურებამ გაასწორა საზოგადოებათა მაღალ-მდაბლობა ისე, რომ აღარც კი იყო სახსენებლად წოდებანი დამარცხებულებისა, რომელნიც შეიქმნენ რეიებად და მხენელთსეველებად. მსმალოს უფლება სერბებზე იყო უფრო კაცობრიული, ვიდრე ისანისა მესტ-ინდიაში და ანგლიის პოლიტიკო ირლანდიაში. მსმალოს ისტორია მოგვითხრობს უფრო მცირედ შეცოდებასა და დანაშაულობასა, ვიდრე ისტორია შრანცუზის საკოროლოსი. მაგრამ რაკი შეეხება დანაშაულობას, ქრისტიანები და თათრები, ოსმალები და მერეები ერთმანერთს ვერაფერს წაყვედრებენ რას, და ბოროტ მოქმედება ოსმალებისა აგრეთვე მრავალი არის, როგორც აღმაშფოთებელი.

როდესაც იანიჩარების უწყალოება და ფაშებისაგან შეწუხება გადასცდა ყოველს ზომასა, მაშინ სერბები აბრუნდნენ. ბერძნების რევოლუციის (არევიარვის) თერამეტის წლის წინად; სერბების ბუნტი იყო პირველი დაწყება ოსმალოს იმპერიის განცალკავებებისა. მთმა გლენმა, რომელიც მაშინ იყო ინსურგენტების წინამძღოლად, მალე მიიპყრა გულის ხმა ხალხისა; ეს გლენი იყო ბიორგი, რომელსაც დაარქვენ შავი. როგორც მრავალმა სხვამ, აგრეთვე ბიორგიმ განება თავი თავის დანგრეულს ქოხსა და გაეარა მთებში. ოსმალის გაცრცენას რაცხდნენ ისე, როგო-



გების გათვრება კიდევ სრულდებოდა სხვა რა-
 ციანა; (საქარა), ქალაქში ჩარკობაც სხვა
 რაზონი არის.—მე ვნახე ერთი პატარა ფა-
 ბრიკა, რომელზედაც მუშაობდნენ მხოლოდ
 ათნი კაცი; ასე რომ ზოგი ერთი იმათგანი
 აღსრულებდა რამდენიმე რაზონს.—მაგ-
 რამ თუმცა ისინი ღარიბი იყვნენ და ამის-
 თვის იარაღები, რომელიც საჭირო იყვნენ
 იმათთვის, ძალიან ცუდი ჰქონდათ, ისინი მა-
 ინც კიდევ, როდესაც ბევრთათ მუშაობდნენ,
 ყველა ათი კაცი აკეთებდა დღეში 12 გირ-
 ვანქმდინ ქინძისთავებს.—ითიო გირვანქას
 შეადგენს 4,000 ქინძისთავი.—მაშ ამ ათს კაცს
 შეეძლოთ 48,000 ქინძისთავების გაკეთება
 დღეში.—მეორე პოლიტიკო-ეკონომი გვი-
 ჩვენებს მეორე მაგალითს შრომის დაყოფი-
 ლებისას.—იმან ის მაგალითი შენიშნა სათა-
 მაშო ქალაქის ფაბრიკაზე.—ქაცები, რომ-
 მელიც ამ საქმეს ასრულებდნენ, ამბობენ,
 რომ ყოველმა ქალაქმა, ესე იგი კარტო-
 ნის ყოველმა ნაჭერმა, უნდა გაიაროს 70
 რაზონი მანამდე, ვინამ გაიყიდება.—მა-
 ლაღს და საღებავებს, რომლისაგანაც კეთდ-
 ბა სათამაშო ქალაქი, არ ამზადებენ ის მუ-
 შები, რომელიც ფაბრიკაზე არიან.—მაგრამ
 თუ მივაქციეთ ყურადღება მხოლოდ ქალაქ-
 დის მომზადებას ამ მასალებისაგან, ჩვენ ვნა-
 ხავთ, რომ ერთი კალაქი სათამაშო ქალაქ-
 დი, შეადგენს მრავალს რაზონის ნაყოფს
 და ყოველი რაზონი არის საქმე თი-
 თო მუშისა, რომლებიც ყოველთვის ამ საქ-
 მეში არიან გართულნი.—ყოველთვის ერთი
 და იგივე კაცები სწმენდენ და აცლიან ქა-
 ლაქის ნასკვებს, რომ ქალაქი სწორე იყ-
 ვეს.—მეორე-აწებობებს სამს ფურცელს ერთი
 ერთმანეთზე, რომლისაგანაც შესდგება სათა-
 მაშო ქალაქი და სდებ პრესის ქვეშ; მე-
 სამე—ღებავს ერთს ქალაქის მხარეს; მეო-
 თხე ბეჭდავს შავს საღებავით; მეექვსე
 აშრობს დაბეჭდილს ქალაქებს; მეშვიდე
 აკრეფს ორივეს მხრივ.—ქალაქის და-
 ჭრა სხვა საქმეა, კალაქის შეგროვება კიდევ
 სხვაა; იმათს გასახვევი ქალაქის დაბეჭდა
 აგრეთვე სხვა არის, იმაში გახვევა კიდევ სხვის
 საქმეა.—ჩვენ არა ვსთვლით სხვა კაცებს,

რც ურჯულსაგან წარმოვეს იმ ქონებისას,
 რომელიც წარმოებულია ქრისტიანისაგან. იმა-
 თი ლაშქრობა მარჯვეთ მიდიდა. ამ ბუნტ-
 ში მიიღეს მონაწილეობა ბევრმა ბერძენმა,
 ძროხებმა, სლავონებმა; ეს ხალხი იყო
 სულ თავდაჯერებული, რომელიც ჰქონდათ
 მხოლოდ აზრი, რომ შეეწყობინათ ფაშების
 ჯარი აბუნტებული ხალხითა. მართს მშენი-
 ვის დღეს ეს ავაზაკების ბელადი გახდა თავის
 უფლებებზე ომის გმირად. მაგრამ რადგანაც
 გმირობა შავი, ანუ შარა ბიორგისა წარმოს-
 დგებოდა სიმძულვარობისაგან, ამიტომ ამის
 ხასიათში არ გამოილია ყაზალური მოქმედება.
 1804-ში ამ ავაზაკობამ მიიღო ხასიათი პოლი-
 ტიკურის აბუნტებისა; როგორც შეიტყეს სე-
 რბებმა, რომ ოსმალების დამარცხება შეიძლე-
 ბოდა, მაშინვე შეუდგნენ ომსა მხეტურის გა-
 შფოთებითა, გასაოცარს გამბედაობითა და
 გამძლეობითა. მიწარასთან სერბები 8-9 ათა-
 სამდინ შეხედნენ ოსმალების კარგა მრავალს
 ჯარსა, რომელსაც წინ უძღვოდა სერასკირი;
 ამან შეუთვალა შარა ბიორგის, რომ დადოს
 თოფიარადი და გაუზღვნოს მას. „მოდი და
 წაიდგო!“—შეუთვალა შარა ბიორგის, რომე-
 ლმაც არ იცოდა, რომ ეს გამოჩენილი სი-
 ტყეები იყო ნათქვამი ლეონიდისაგან. ბო-
 ლოს ამან აიღო ბელგრადი და მიიყვანა პო-
 რტა იქამდინ, რომ ამათ დაუწყეს მორიგება.
 შარა ბიორგის მომხრეებმა აღმოაჩინეს ის
 სერბების მეფედ. მაგრამ 1807 ეს დამარცხდა
 მიდინოსთან, რომლის შემდეგ ოსმალებს
 დაუთმო მხარის ნაწილი. მერე 1812, რაკი
 ოსმალო მორიგდა ბუხარესტის პირობებითა

რომელიც ჰყიდა, ყიდულობენ მასალებს,
 აძლევენ ფასს მუშებს და სხ.—“
 მე ვნახე სათამაშო ქალაქის ფაბრიკა,
 რომელზედაც მუშაობდნენ ოცდაათი მუშე-
 ბი და ეს ოცდა ათი კაცი აკეთებდა დღეში
 15,500 ქალაქს, ესე იგი თითო იმათგანი
 ხუთასზე მეტს აკეთებდა დღეში.—ამასთანავე
 უნდა ვსთქვა, რომ ზოგიერთ ფაბრიკაზე არ
 არის სრული დაყოფილება შრომისა, რომე-
 ლიმე მიზეზების გამო.—“
 მე ვგანებ ეს ორი მაგალითი სრულდებით
 დაკმაყოფილებს ყოველს მკითხველს ვისაც
 კი ჰსურს შეიტყოს, რაში მდგომარეობს საკუ-
 თრად შრომის დაყოფილება—ამ მაგალითი-
 ბიდან ჩვენ ვხედავთ, როგორი ეკონომიური
 მნიშვნელობა და გავლენა უნდა ჰქონდეს
 ხალხის ცხოვრებაში ამ გვარ დაყოფილებას.—
 შრომის დაყოფილებას აქვს სამანირი ღირსე-
 ბა.—პირველი ღირსება, რომელსაც ყველა
 მალე დინახავს, არის მოპოვება მომატებუ-
 ლის სიმარდისა.—აქ ყოველი ასო მაგრდება,
 ძარღვი ძრიელდება და თვითონ გონებაც
 უფრო იხსნება, მისთვის რომ კაცის მთელი
 აგებულება ყურადღებას აქცევს ერთს და იგი-
 ვე საქმეს.—როდესაც კაცი მიეჩვევა ერთსა
 და იმავე საქმეს, მაშინ იმ საქმეს სწავლობს
 უფრო სპეციალურათ და ამას გარდა, რასაც
 უწინ აკეთებდა ნილა და სიმწელით, შემდეგ
 აკეთებს უფრო სწრაფათ და ნაკლებ დროს.—
 მაგალითად, როდესაც ყმაწვილი იწყებს რა-
 მდენიმე რიცხვის ერთათ შეერთებას, პირვე-
 ლათ უძნელდება და დროც მომატებული
 უნდება, შემდეგ, როდესაც შეეჩვევა, მაშინ
 ერთათ რამდენიმე რიცხვს ისე მალე შეაერთ-
 ებს ხოლმე, რომ თითქმის არც კი ჰფიქ-
 რობს და ასე გვერძინა, თითქო წინათვე იცო-
 და, რასაც ჰკითხავდნენ.—ადამი სმითი, რომ-
 ლის მაგალითიც ჩვენ წარმოვადგინეთ, ამ-
 ბობს რომ სისწრაფე, რომლითაც ასრულე-
 ბენ რაზონიებს (საქარებს) ზოგიერთ ხე-
 ლოვნებაში ისეთია, რომ ყოველი კაცი, ვინც
 არ მოელოდა კაცის ხელებისგან ამისთანა სი-
 მდიდრეს გაცდებდა.—მეორე ღირსება არის
 დროს ეკონომიურათ მოხმარება.—მსთქვით,
 რომ ერთმა კაცმა უნდა აასრულოს ყველა
 რაზონი.—ჯერ მაგალითად, თუ ჰსურს ქინ-

რუსეთთან, ოსმალებს გაეხსნათ გზა ხელები და
 იმათი ჯარი ყველგან იმარჯვებდა. სერბებმა
 დაპარეს იმედი თავიანთ საქმის კეთილად
 წარმატებისა;—ეს იმედი ყველაზე უმეტესად
 დავკარგა თითონ შარა ბიორგისა. მს გაიქცა
 სეტრიაში, მერე რუსეთში, სადაც აღექვან-
 დრე იმპერატორმა მიიღო და გენარლობაც
 მისცა. 1816-ში ბიორგი კიდევ გაიდა სერბა-
 ში, რომ აეწალა ბუნტი, მაგრამ მაშინ აქ
 პოლიტიკური მოძრაობის თავს მუდამარე იყო
 მიღობა ობრენოვიჩი. მიღობა ბიორგისავეთ
 უბრალო გლეხი მეორე იყო, რომელიც
 მთელს თავის სიცოცხლეში არა წერა იცოდა
 და არც კითხვა. არავინ იცის რა იყო მიზეზი,
 რომ ასე სასტიკად სდევნიდა მიღობა უწინ-
 დელს დიქტატორსა; არავინ იცის მიღობას სურდა
 რომ პირველი ადგილი თითონ დაჩვენოდა,
 თუ ეგონა, რომ ჯერ ოსმალებთან აშკარა
 ომის დრო იყო; იქნება ჰსურდა, რომ
 ჯავრი ამოეყარა თავისის ძმისა, რომელიც
 შარა ბიორგი თავისის ხელით მოჰკლა. ჩვენ
 ვიცით მხოლოდ, რომ მიღობამ—ამ ბიორ-
 გისავეთ გმირმა ავაზაკობითა და კაცის მკვლე-
 ლობით შეზავებულმა—თითონვე მიუტანა ამ-
 ბივი ფაშას, რომ მოსულაო მერველოუსიცი
 (ამრევე დამრევი); გარდა ამისა გავზავნა
 კაცი მასპინძელთანა, რომელსაც დაემალა
 გავარდნილი, რომ იმან მოიტანოს: „ან ბიო-
 რგის თავი, ან თავის საკუთარი“. ამის გამო
 მასპინძელმა მოსჭრა ცულით თავი წყნარად
 თავის მძინარე სტუმარსა.
 ამის შემდეგ მიღობამ მალე აშალა პატრი-
 არტული ომი, რომელიც რამდენიმე ცელი-

დისთავების გაკეთება, უნდა მართული გასწი-
 ოს, ესე იგი დაწერილოს; ამას რასაკვირვე-
 ლია ცოდნა უნდა, მაშასადამე ჯერ უნდა ის-
 წავლოს ეს საქმე.—ყველა ჩვენგანმა, გამო-
 ცდილებით იცის, რომ პირველ დასაწყისში
 საქმე უფრო გვიძნელდება და ამასთანავე სა-
 ქმეს შეჩვევა უნდა.—მაშ, ვინამ მოვიზო-
 ვებთ ცოდნას და ვინამ შევეჩვევით, მანამ-
 დნ მომატებული დროც დაგვეკარგება მარ-
 ტო სწავლაზე.—დასასრულს მართულის გა-
 წვევაც ისწავლა, ახლა უნდა შეუდგეს მეორე
 საქმეს, ესთქვათ წვერის წაწვეტებას.—ამასაც
 ცოდნა უნდა, ამის სწავლაზედაც დაეკარგება
 მომატებული დრო.—მაშასადამე მარტო ქინ-
 ძისთავების გაკეთებაზე ეკარგება იმდენი დრო,
 რამდენსაც მოითხოვს თითო რაზონის სწა-
 ვილება.—ამასთანავე უცოდინარი და გამო-
 უცდელი კაცი რომელიმე ხელოვნების სწა-
 ვლაზე გაუფუჭებს მომატებულს იარაღს.—ზო-
 გიერთი იტყვის, რას გავიჭებულაო, რომელი
 საქმე არ მოითხოვს სწავლასა და დროს?—
 დიხაც, მართალია, მაგრამ თუ შეიძლება
 დროს შემოკლება და საქმის უკეთესათ შეს-
 რულება. რატომ არ უნდა ვსცდილობდეთ,
 მომატებული არც დრო დაეკარგოთ და საქ-
 მეც უკეთესათ შევასრულოთ.—მსეც უნდა
 დაუმატოთ, რომ რამდენათაც მომატებული
 შრომის დაყოფილება იქნება, იმდენათ უფრო
 მომატებული ნაწილი მუშა კაცისა იზოვნის
 საქმეს, რომელიც შეთანხმება იმის ნიჭიერე-
 ბას და სიმარდეს.—მართს კაცს აქვს, ესთქვათ,
 მომატებული სიმარდე ხელში, მეორეს აქვს
 მომატებული ფიზიკური ძალა, მაშინ საეჭო-
 აღარ არის, იქ სადაც შრომის დაყოფილება
 არის მიყვანილი სისრულეში, ხელით მარდიც
 და ძალით ძრიელიც უფრო ადვილათ იზოფ-
 ნის ადგილს და საქმეს—და მით დაისაჩუქ-
 რებს შრომას.—(ქინძისთავების ფაბრიკაზე ზო-
 გიერთს საქმისთვის ეძლევათ მუშებს 16 კა-
 პეიკი დღეში, და ზოგს 6 მ. 50 კ.) მესამე
 ღირსება შრომის დაყოფილებისა არის მო-
 გონება და გაუმჯობესობა რომელიმე მაშინ-
 ნისა.—როდესაც ერთი და იგივე კაცი, და-
 ყენებული სამუდამოთ ერთს და იგივე საქმე-
 ზე, მიაქცევა მთელ ყურადღებას მხოლოდ
 იმ საგანს, იმის გონება არ არის მაშინ გატა-

ლებს შემდეგ გათავდა იმითა, რომ ოსმა-
 ლები გაყარეს მთიანი ადგილებიდან, ტყეები-
 დგან და სოფლებიდან; მაგრამ ციხეებში კი
 დარჩნენ ისეა.—ციხეები ძნელი ასადები იყო.
 შემდეგ აღრიატის პირობით 1829-ში ეს ცი-
 ხეები შეიქნნენ ოსმალების საკუთრებად. მს
 ციხეების მფლობელობა იყო ის საგანი, რომ-
 მელიც შეიცავდა ამ მოკლე დროს წინად
 მთელს სერბის საქმესა. ამ გვარი შეიარაღე-
 ბული, ჯარი რასაკვირველია, აენებდა სერბის
 თავისუფლებასა და მიხილმა თავს იღვა ეს
 საქმე და გამოიტანა ნება სერბის ციხეების
 დაკლისა; ამ საქმეს უშველა იმან, რომ 1862
 ოსმალო კამენდანტმა ბელგრადის ციხიდან
 დაიწყო ქალაქში ზარბაზნების სროლა, რად-
 ცა პოლიტიკური საქმის გამო.
 მაგრამ მიუბრუნდეთ ისევ მიღობას. მი-
 ლობას ეჭირა სერბია რკინის ხელითა და მა-
 რთვიდა ისეთის უფლებითა, რომლისაგანაც
 შეეშინდებოდა უკეთეს ფაშასა. მაგრამ ხალხს
 მინ უყვარდა ვაჟაკობის და ყოჩაღობის გამო,
 რომელიც დაამტკიცა ოსმალოში თავისუფლები-
 სათვის. ბულკეთით სერბებს მოსწონდათ ისი-
 ცა, რომ იმათი მეფე უწინ მედორეთ ყოფი-
 ლიყო.
 ბოლოს სერბებმა რომ ნახა ნებეირობა მი-
 ლობასი გადავიდა წრესა, 1835-ში მოსთხო-
 ვა კონსტიტუცია. მიღობამ ამას ყური არ
 მიუგლო. უკმაყოფილება გავრცელდა, ასე
 რომ ერთს აღშფოთებაში გარდასვენს მიღო-
 შა თავისის ღირსებიდან, სწორედ ისე, რომ
 გორც ერთი ფაშა. იმის ადგილს დასცეს შეი-
 ლი იმისი მიღანი, მაგრამ ეს მალე მოკვდა.

ცებული სხვა საქმისაგან და ფაშების მფლობე-
 ტიკებენ, რომ ბევრი მაშინა, რომლის სა-
 შუალებითაც რომელიმე საქმე კეთდება უფ-
 რა ნაკლებ დროში, არის მოგონილი იმმუ-
 შა კაცებისაგან, რომელიც ყოველთვის მუ-
 შაობდნენ ერთს და იგივე საქმეს.—შქანას-
 კნელის სიტყვებიდან სჩანს, რომ შრომის
 დაყოფილების გამო კაცი სცდილობს მოიპო-
 ვოს იმოდენი ძლიერება, რომ შეეძლოს იმ-
 სახურაის ბუნების ძალა, რომელიც ქვეყანა-
 ზედ არის გაფანტული.—როდესაც ეს დაყო-
 ფილება არ იყო მშე სრული, მაშინ უფრო
 მომატებულს დამოკიდებულებაში ჰყვანდა კა-
 ცი ბუნებას.—მს სიტყვები ზოგიერთ მკითხ-
 ველებისთვის მოითხოვს რომელიმე განმარ-
 ტებას.—
 ისტორია გვიჩვენებს, რომ იყო დრო, რომ-
 დესაც ერთი აკრი *) მიწა იძლეოდა მხოლოდ
 6-7 ბუშელს **) პურის მარცვალს.—მს
 და თან როდესაც ხალხი გამრავლდა და მიწა
 კი თავის ნაყოფიერებას არ უმატებდა, მაშინ
 ხალხი იძულებულ იყო მიელო ღონის ძიება
 და მიეჭია ყურადღება მიწის შემუშავებაზე,
 რომ წინათვე დაეყენებინა მომავალი შიმში-
 ლი. ანუ უნდა და სხ.—როდესაც მიწას და-
 უწყეს შემუშავება, გააპატივრეს, ესე იგი მი-
 წას უკანვე უბრუნებდნენ რაც საჭირო არის
 იმის ნაყოფიერებისათვის, მაშინ ერთი და იგი-
 ვე მიწის ნაჭერი აძლევდა ხალხს ერთი ათათ,
 ერთი ხუთათ მომატებულს შემოსავალს და
 6-ის ან 7-დის ბუშელის მაგიერ იღებდა 30,
 40, 50 ბუშელს ერთს აკრიდან.—მაგრამ ამით
 არ დაკმაყოფილდა კაცობრიობის წარმატე-
 ბა.—ბუნებაში იყო, და ეხლაც არის, მრავა-
 ლი დაფარული ნივთიერება, რომელიც უც-
 დის, რომ კაცმა აღმოაჩინოს და მისცეს და-
 ნიშნული მამართლებს.—მაგალითად უწინ-
 დელ დროს არ იცოდნენ, როგორი მნიშე-
 ნელობა უნდა ჰქონოდა ქვის ნახშირს.—რო-
 დესაც ხალხი გამრავლდა, გახშირდა მისელა-
 მოსვლა, მეცნიერების სწავლება შეიქნა სა-

და მეორეთ დასვეს მიხილი, მეორე შეილი
 მილაშასი. მიხილი ჯერ ძალიან პატარა იყო
 და მამას სრულდებით ემორჩილებოდა. ბუნტი
 ასტყდა უფრო დიდის ძალითა და 1842-ში
 ობრენოვიჩები გაყარა აღექვანდრემა, შეილო-
 მა შარა-ბიორგისა, რომელიც აქამდე სწა-
 ვლობდა რუსეთში. ახალმა თავადმა არც არა
 შეეცალა რა და პორტასაც ძალიან ეფერე-
 ბოდა, რომ ტახტი დაემტკიცებინა თავის ჩა-
 მომავლობისათვის; ამიტომ ხალხი გადუღდა
 იმას კიდევ. შარა ამისა 1858 ბებერმა მი-
 ლობამ გააგლო აღექვანდრე შარა-ბიორგის
 ძე; მაგრამ უფლება მიღობისას არ იყო ხან
 გრძლივი, რადგანაც მოკვდა 1860-ში, არა-
 ვინ იცის რამდენის წლისა.
 მიღობაც ცდილობდა, რომ სერბის ტახ-
 ტი დაემკვიდრებინა პორტას იმის გვარზე, მა-
 გრამ იმან უარ ჰყო. შემდეგ სკუბტინამ და-
 ამტკიცა მიხილი III და იმისი ჩამომავლობა
 ტახტზედ. მიხილმა თორმეტის წლის განმავ-
 ლობაში, როდესაც იყო გაგდებული ხემწი-
 ფობიდან, ბევრი ჰქვა მოიპოვა; კონსტიტუ-
 ცია სასარგებლოთ შერაცხა თითონ მეფისათ-
 ვისაცა და ხალხისათვისაცა. მს ხელს უმართა-
 და თავისუფალს მოძრაობას სერბიაში; შესა-
 ძღვრა ორტოფი უფლება ოსმალოსი. ო-
 ტაც რომ დასცავდებოდა, მიხილი მოსპობ-
 და სრულდებით მხოლოდ სახელად მყოფს უფ-
 ლებას ოსმალოსაც სერბიაზედ და აღარც მი-
 სცემდა ხარჯსა. მაგრამ ეს გონიერი თავადი
 მოჰკლეს უდროთ.

*) აკრი ანგლიაში—889 კვადრ. საფენი.—ჩვენ
 დღიურზე 311 საფენი ნაკლებია.—მეფეზე—11 სა-
 ფენით.—
 **) ბუშელი.

ერთი სასურველი, მაშინ გამოჩნდნენ ზოგი ერთი პირები, რომელთაც უხვევენ ნამდვილი მნიშვნელობა, როგორც ქვის ნახშირისა, აგრეთვე წყლისა, ჰაერისა და სხ.—მუქის ნივთიერებისა.—აგრეთვე იზრუნენ სხვა მცენარეების და პირუტყვების გაუმჯობესებისათვის.—ამასთანავე გამრავლდა ხალხის მოთხოვნილება და გაესწათ გემოვნება.—როდესაც ხალხის გემოვნება უკეთესდება, მოთხოვნილებაც მატულობს, მაშინ ჩნდება გაუმჯობესება იმ იარაღებისა და მასალებისა, რომლითაც კეთდება გასასყიდად ნივთები.—ამ გვარათ, დროს მომდინარეობით, ჩვენ ვხედავთ ესწრაფვით, რომ ესარგებლობით იმისთანა ნივთიერებით, რომლის გაგება უწინ არც კი ჰქონდათ, როგორც რკინის გზებით, ტელეგრაფით, პარახოდებით და სხ.—ამ გვარ ნივთებით სარგებლობის შემდეგ ცხადია სწრაფად ურადღების მიქცევა მიწის შემუშავებაზე, ხალხის სიმდიდრე და განათლების გავრცელება ქვეყანაზე.—

ჩვენ განვიხილეთ შრომის დაყოფილება ერთის მხრით, ესე იგი, ენახეთ, რა მატერიალური სარგებლობა მოხდეს იმას; ენახეთ რომ რამდენიც იყოფა შრომა, იმდენი უფრო მომატებული ნივთი კეთდება ერთს და იგივე დროს.

ახლა გავწინჯოთ მეორეს მხრით და ენახოთ მართა იმაში მდგომარეობას იმისი თვისება, თუ კიდევ მოხდეს რამე? რასაკვირველია, რომ შრომის დაყოფილების შემდეგ ამითი არ დასრულდება.—იქ მდებარეობს ერთი კარგი მხარე, რომელსაც კაცი ისე ცხადათ ვერ დინახავს, როგორც ზევით ნათქვამებს.—წარმოიდგინე, მკითხველო, ერთი ფაბრიკა, ესთქეთ სათამაშო ქალაქისა, სადაც არის 70 სული სხვა და სხვა ოპერაცია და თითო ოპერაციაში არიან გართულნი რამდენიმე კაცი.—რომ შეხვიდეთ იმ ფაბრიკაში, მაშინვე თვალში გეცემათ სიმრავლე მუშა კაცებისა, სისწრაფე მუშაობისა და სხ.—იქ ენახათ, რომ რამდენიმე ასი კაცი არის შეგროვილი ერთს იანის ქვეშ, სადაც შეუძლიან გადასცენ ერთი ერთმანეთს თავისი აზრი, სურვილი, შეუძლიანთ თავსუფლად დროში ბაახობა ბევრ სხვა და სხვა საქმეზე.—იქ, რასაკვირველია, მომატებული საშუალება ექნებათ აუხსნან ერთმანეთს თავისი ფიქრი და მით გაიხსნან გარება.—ჩვენ კარგათ ვიცით, რომ რაც უნდა ვისწავლოთ, თუ ისევ ჩვენ ჩვენი სწავლა და აზრი სხვას ჩვენისთანას არ შევატყობინებთ, არ გვექნება ერთმანეთში დახლოება, არა ფერს სარგებლობას არ მოვიტანს არც სწავლა და არც შრომა.

მე ვგონებ, რაც ესთქეთ, უფრო კარგათ დამტკიცდება სტატისტიკურის ფაქტებით (მაგალითებით).—მე ამ შემთხვევაში ვსარგებლობ სტატისტიკის ძოლობის თხზულებით.—ძოლობი თავის თხზულებაში წარმოადგენს იმისთანა ფაქტებს, რომ ყველა ცხადათ დინახავს რაც შეუძლიან შრომის დაყოფილებას.—ანგლიიდგან სამზღვარ გარეთ გაიტანეს შინ მომზადებული ნივთები შემდეგის ფასისა: 1855-ს წ. — — — 225, 920, 262 1856-ს წ. — — — 258, 505, 653 1857-ს წ. — — — 255, 396, 713 1858-ს წ. — — — 271, 654, 822

სულ ამ ოთხის წლის განმავლობაში, გარდა იმისა, რაც თითონ თავის სახელმწიფოში მოიხმარეს, სამზღვარ გარეთ გაიტანეს: 1,011, 477, 450.—ძოლობი ამბობს, რომ თვითონვე ანგლიაში ხმარობენ ამაზედ ბევრათ მომატებულს.—

ახლა ავიღოთ მეორე სახელმწიფო, სადაც არ არის მოყვანილი იმისთანა სისრულეში შრომის დაყოფილება, როგორც ანგლიაში,—რუსეთიდან იმავე წელიწადში შინ მომზა-

დებული ნივთები გაიტანეს შემდეგის ფასისა: 1855-ს წ. — — — 89, 517, 000 1856-ს წ. — — — 160, 250, 000 1857-ს წ. — — — 169, 688, 000 1858-ს წ. — — — 151, 175, 000

სულ ოთხის წლის განმავლობაში სამზღვარ გარეთ გაიტანეს: 570, 630, 000.—რუსეთიდან გატანილის ნივთების ფასი რომ გამოერიცხოთ ანგლიიდგან გატანილიდგან, ენახათ, რომ ანგლიიდგან 570, 630, 000 მომატებული არის გატანილი, ვიდრე რუსეთიდან, თუმცა მართა პრახნგელსკი ლუბერნია (მდებარეობს მეთორი ზღვის პირას, ჩრდილოეთის რუსეთში) არის მეტი სივრცით მთელს ანგლიაზე.—რომ ავიღოთ რუსეთში და ანგლიაში მცხოვრებლების რიცხვი, ენახათ, რომ ერთს ანგლიელს უფრო მომატებული გააქვს თავის სახელმწიფოდგან, ვიდრე 15 რუსს ერთათ.—უფრო დიდს განსხვავებას გვიჩვენებენ სხვა ციფრები.—

თითო მცხოვრებელზე რუსეთში: ბერმანიაში: ყავა (შემოტანილი რუსეთში 1858-ს წ.) — 314,271—ფ.— — — 0,17—გირ.— — — 4,51 გირ. შაქარი (შემოტანილი რუსეთში 1858-ს წ.) 1,352,190—ფ.— — — 0,75—გირ.— — — 9,03 გირ.

მაშასადამე, სამზღვარ გარეთიდან შემოტანილი ყავა და შაქარი, რომ გავყოთ ცხოვრებლების რიცხვზე, ენახათ, რომ შაქარი იხარჯება რუსეთში 12—ჯერ ნაკლები, და ყავა 26 1/2—ჯერ ნაკლები, ვიდრე ბერმანიაში.—

აქედან სჩანს, რომ ხალხის სიმდიდრე, კეთილცხოვრება არის დამოკიდებული იმაზედ, დაახლოებული არიან მშრომელნი პირნი ერთი ერთმანეთთან თუ არა? შრომის დაყოფილებაზე, კაცების ერთმანეთთან დახლოებაზე, არის დამოკიდებული ყველა კაცების ერთმანეთთან დახლოება.—იქ სადაც შრომის დაყოფილება არა ძვეს საფუძვლათ ხალხის ცხოვრებაში, იქ ხალხი წინ ვერ წავა.—მაკალკეველ პირების დახლოებას მოხდევს საზოგადოების დახლოება, რადგანაც საზოგადოება არის შემდგარი მაკალკეველ პირებისაგან.—საზოგადოების საცხოვრებლათ, არსებობისთვის საჭიროა წევრების ერთმანეთთან მისილა-მოსვლა, აღებ-მიცემა, ერთის სიტყვით საჭიროა შესახვედრობა.—მართლაც, ქვეყნის დაბადებიდანვე მას აქეთ, რაც კაცი არსებობს დედამიწაზე ცხადათა სჩანს ხალხის მოძრაობა, რომლის მიზეზი არის ის წინათ გრძობა, რომ ერთი კაცი მიიწვეს ბუნებითადვე მეორესთან, მეორე მესამესთან, მისთვის რომ თავისი შრომის ნაყოფი გაუცვალოს მეორეს, შეატყობინოს თავისი აზრი და მით შეიძინოს მომატებული სწავლა, გამოცდილება; ერთის სიტყვით, ცდილობენ შეადგინონ ცნობილი საზოგადოება ასსოციაციის (ამხანაგობა), რომ საერთო ძალით, ღონისძიებით მიადწიონ და აღასრულონ ის განზრახვა, რომელსაც ზღვეს ყოველი კაცი.—მაშასადამე თვითონ კაცის ბუნებაში არსებობს კანონი, რომელიც ძალას ატანს დაახლოვებს თავისთან ცხოველი, შეაერთოს თავისი ყოველი ნიჭიერება სხვის ნიჭიერებასთან და იმით გაიადვილოს აღსრულება თავის სურვილისა, განზრახვისა,—და თუ აქამდინ არა სჩანდა ისე ცხადაც, როგორც საჭირო იყო, მაკალკეველ პირების შეერთებისა ანუ ასოციაციების (ამხანაგობის) სრული ნაყოფი, იმის მიზეზი ჩვენ უნდა ვეძებოთ ისტორიაში და ენახოთ, რომ იმას აბრკოლებდნენ, უშლიდნენ ისტორიული მიზეზები. ამ გვარი, და არა ის მიზეზი, რომ ვითამც კაცში არ არსებობდეს ასსოციაციის (ამხანაგობის) ნიჭიერება.—ღირს მხოლოდ ავიღოთ რომელიმე ხალხის ისტორია, წავიკითხოთ და ენახოთ, რომ ყოველი ხალხი მხოლოდ იმისთვის ებრძვის გარემოებას, რომ

მოიშოროს ის მიზეზები, რომელნიც უშლიან ასსოციაციის ამხანაგობის შედგენას საერთო შრომისათვის, და უკანასკნელ დროში ისე გავრცელდა ასსოციაცია, რომ ეს გავრცელება საკმაოდ გვიმოქციებს, რომ თუ არც ასსოციაციით, სხვა ფრით კაცის ცხოვრებას არ ექნება მაგარი საძირკველი.—მართის სიტყვით ასსოციაციის ფორმა არის უკანასკნელი ნაბიჯი, რომელთადაც მიიწვეს კაცი, ეს არის საზოგადო კანონი ყოველის ხალხისა; მოკლეთა ესთქეთ—ასსოციაციას აქვს თავის განზრახვით, რომ შეერთებულის ღონისძიებით აღასრულონ რამდენიმე კაცებმა თავის აზრი, ან განზრახვა შესახებ შრომისა, რომელსაც მიზნდვენ თავის ცხოვრებაში.—ყოველი ცეცხლივება, ყოველი ფაქტი, რომელიც მოხდა კაცობრიობის ცხოვრებაში არის ნაყოფი ასსოციაციისა, ესე იგი რამოდენიმე ასის, ანუ ათასის კაცების შრომისა, რომელთაც ერთმანეთის თანხმობით შეაერთეს თავისი ღონისძიება, საშუალება, ძლიერება და მით აღასრულეს სურვილი.—ავიღოთ მაგალითად რკინის გზები.—მართი კაცის საშუალება ვერადღეს ვერ მოიყვანს სისრულეში იმდენი რკინის გზის გაკეთებას, რამდენიც არის გაკეთებული.—მთელს შრომაში, ამერიკაში, ყოველი რკინის გზა, რა ადგილსაც უნდა ავიღოთ, არის დასასრული მრავალი კაცის შრომისა, საშუალებებისა.—მართის კაცის ღონისძიება ვერ გასწვდება იმ ოპერაციას და ამის მიზეზით, ურთიერთის თანხმობით შეგროვდა რამოდენიმე კაცი, იკისრეს იმის გაკეთება და ესლა ჩვენ ესარგებლობით იმათის შრომით.—ტელეგრაფები, სადაც კი არის გაყვანილი, აგრეთვე არის გახმული მრავალი კაცების ღონით და არა ერთისა.—მართალია, ზოგიერთს სახელმწიფოში ამითი გაკეთება ვაკუთენის თითონ სახელმწიფოს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ სახელმწიფოც წარმოადგენს იმ ასსოციაციის ფორმას, რომელიც ზრუნავს საერთო ხალხის არსებობაზე და ცხოვრებაზე.—აგრეთვე არის დაფუძნებული სხვა ეპრობის საზოგადოება, სადაც მონაწილეობას მიიღებენ რამდენიმე პირნი.—მაგალითად, მდებსაში არის საზოგადოება „общество пароходства и торговли“, რომელიც წელიწადში ატრიალებს რამდენიმე მილიონს და მით მოაქვს სარგებლობა, როგორც მონაწილეებისთვის, ისე ხალხისთვის.—სადაც კი გადაწყვედნთ თვალს ყოველგან დავინახათ, რომ არც ერთი საქმე არ კეთდება მართა ერთის კაცის ღონისძიებით.—იქ, სადაც ჩვენს თვალს ეჩვენება, რომ ვითამც ერთი კაცი აკეთებს რომელიმე ნივთს, იმ ნივთის გაკეთებაში უეჭველათ უძვეტ წილი სხვა ხელოვნებსაც.—ძიდე ვაიმეორებ, ყოველი საგანი არის შემდეგი ასსოციაციისა მოქმედებისა და ყოველ კაცში არსებობს ის ძალა, რომელიც ერთს კაცს აერთებს მეორესთან, მეორეს მესამესთან და ამ გვარათ არის მათში მოძრაობა.—მაშასადამე ამ კანონს ემორჩილება ყოველი კაცი და დროის მომდინარეობით ხალხის ცხოვრებაში ასსოციაცია მიიღებს რომელიმე ფორმას, მიმართულებას.—ასსოციაციის ფორმა და მიმართულება არის დამოკიდებული კაცის გონების განსხვავებაზე: რამდენათაც მომატებულათ აქვს კაცს გონება განსილი, იმდენათ, ეჭვი აღარ არის, უკეთეს ფორმას მისცემს ასსოციაციას და მომატებულს სარგებლობასაც ნახავს.—აქედან სჩანს, რომ თვითონ ჩვენ უნდა ვიზრუნეთ ასსოციაციაზე საერთო შრომისთვის და დავაყენოთ იმისთანა გზაზე, რომ სასარგებლოთ მოვიხმაროთ ჩვენი ღონისძიება და მოვიშოროთ თავიდან ის ნაკლებუფიერებანი, რომელნიც გარს გვახვევინა: სიღარიბის გავრცელება, გაუწაღებლობა.—

რაც ესთქეთ, ჩემის ფიქრით საკმაოდ ექნება

მის დასამტკიცებლათ, რომ ჩვენი ცხოვრება არ გაუმჯობესდება და ენახოთ ახლა რამდენათ ესაჭიროებთ ჩვენ ამ გვარ შეერთებულს მოძრაობას.—

(შემდეგი ექნება).
ბრ. მარხან—მოურავი.—
მ. მდებსა.
10-ს ოკტომბერს.
1868-ს წ.

შ რ თ ხ ი ლ ა თ!
(მიხამა სტაროდუსისა)

ჩემსა სიცოცხლეს მე ვატარებდი ძლიან ჩუმთ და ბედნიერათ; ამიტომ რომა კარგათ ვცხოვრობდი, მიყავი ჩემთვის შევიდობიანა! ცხოვრება ესლა თუმცა არს ძნელი; მაგრამ იცხოვრებს კაცი ყოველი; მხოლოდ ახსოვდეს მას ეს მაღმალე მითი უბრალო სიტყვა: „სიფრთხილი!“ * * *

რომ უბრალოთა არ დაგიცოდნენ, უბრალოდ კაცს აღარ გეძახდნენ, შენ შეგიძლიან ყველგან ამის თქმა: „ძლიან მიყვარს ღიბერალობა!“ როცა რომ ნახო რამ ბოროტობა, შენ შეგიძლიან მისი გამოთქმა; მაგრამ გქონდეს შენ ეს ფიქრთა, უნდა მოიქცე ყოველთვის ფრთხილათ! * * *

შენ შეგიძლიან ისე ცხოვრება, როგორც ახალი ითხოვს დროება, და პატიოსანს კაცად გიციონდნენ როცა სხვებ გაქვს ჯიბე ქრთამითა! როცა რომ შენთან მაღლა ჰყვიროდნენ, არ ვარა მითამ ქრთამის აღება! უნდა დათანხმდე ამ აზრს სწრაფლათა, და შენ კი ილო; მაგრამ ფრთხილათა! * * *

შურსაც ნუ უგდებ ჩვენ კანონებსა, როგორც ბატონი წარსულ დროშია, მხლაც იქნება, რომ გლვხაკაცებსა რამდენიც გინდა, ურტყა თავშია! მაგრამ არ უნდა ცემა უბრალოთ მთავრი კეტის რტყმა, ან სილა უღვათოთ! სჯობს ყოველთვისა სცემდე ჩუმათა, შინდ წიხლებითა, მაგრამ ფრთხილათა! * * *

ისიც, იქნება იყო სულელი და შენ გიძახდეს კვიანს ყოველი! ის უნდა მართა, რომ შენსა აზრსა ძლიან ნათლად არ გამოხატდე! სადაც შეხვედ შენ ლაპარაკსა, სჯობს, რომა ტუბილად იბახებდე! მაგრამ უნდა სთქვა ყველა ბნელათა, რომ ვერ გაიგონ-ისე ფრთხილათა! * * *

ისე მოიქცე ერთის სიტყვითა, რომ სხვებ იყვე ყველგან ქებითა! ქეთილ კაცობა და ბოროტება მართათ ურთე, რა გენაღვლება! რაც რომ ძველია და ახალია ძლიან კარგა მოთავსებოან; მხოლოდ გახსოვდეს შენ ეს მაღმალე მითი უბრალო სიტყვა: „სიფრთხილი!“ * * *

1868 წელსა 11 აგვისტოს, მდებსა, მისილი.
დავით მისთვისი.
ამომცემი ს. მელიქიშვილი.